

ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს
ქალბატონ ეკატერინე კულულაშვილს
მზია ამაღლობელის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით

სოციალური სამართლიანობის ცენტრის სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

წარმოდგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის
პირველი ნაწილის შესაბამისად

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია სოციალური სამართლიანობის ცენტრის სახელით სასამართლოს წარუდგინოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae) მზია ამაღლობელის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ვიმედოვნებთ, რომ საქმის განმხილველ სასამართლოს დაეხმარება სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაში.

როგორც ცნობილია, პროკურატურამ მზია ამაღლობელს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (სსსკ) 353¹ მუხლის საფუძველზე წარუდგინა. სახელმწიფო ბრალდების პოზიცია ეფუძნება მტკიცებას, რომ მედია პლატფორმების “ბათუმელებისა” და “ნეტგაზეთის” დამფუძნებლისა და დირექტორის, მზია ამაღლობელის მიერ აქციაზე ბათუმის პოლიციის სამმართველოს უფროსისთვის, ირაკლი დგებუაძისთვის სილის გაწვანა უტოლდება პოლიციელზე თავდასხმას და ის სასამართლოს მიერ სწორედ სსსკ-ის 353¹ მუხლის საფუძველზე უნდა იყოს კვალიფიცირებული.

განსახილველ საქმეზე საქმის კონტექსტი და ის ძალაუფლებრივი ასიმეტრია, რომელიც პოლიციის უფროსსა და მედიის წარმომადგენელს შორის წარმოიშვა, ისევე როგორც ბრალდებულის სტატუსი და წარსული საქმიანობა, შეიძლება პოლიტიკური დევნის ეჭვებს აჩენდეს, რის გამოც მნიშვნელოვანია, სასამართლომ სათანადო ყურადღება დაუთმოს როგორც სამართლებრივი ნორმების განმარტებას, ისე საქმის რთულ კონტექსტს.

წარმოდგენილი სასამართლო მეგობრის მოსაზრება შეაფასებს სსკ-ის 353¹ მუხლით კვალიფიკაციის დამაფუძნებელ გარემოებებს, კერძოდ ამ ქმედების ობიექტურ (თავდასხმის ცნება) და სუბიექტურ (მიზანი/მოტივი/განზრახვა) შემადგენლობას საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ასევე, ამ მუხლის დისპოზიციის სსკ-ის 353-ე და 126-ე მუხლებით დადგენილ დასჯად ქმედებასთან გამიჯვნის საკითხს. ამავდროულად, სასამართლოს მეგობრის მოსაზრება განიხილავს სისხლის სამართალში არსებულ ე.წ. *ultima ratio* პრინციპს და ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვის საკითხებს.

მოცემულ საქმესთან მიმართებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სასამართლოს სამართლიან და დასაბუთებულ მსჯელობას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ერთის მხრივ, წინამდებარე საქმეზე სამართლიანობის აღდგენისა და მეორეს მხრივ, მსგავს დანაშაულებთან მიმართებით ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების პროცესში.

სასამართლო მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას. მისი წარდგენის მიზანია დაეხმაროს სასამართლოს, სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხი, იმ სტანდარტის შესაბამისად, რომელიც დადგენილია ეროვნული კანონმდებლობითა და სასამართლოების პრაქტიკით მსგავს საქმეებზე.¹

I. სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მიმართვის უფლებამოსილება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) 55-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად „დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით“.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი წარმოადგენს ადამიანის უფლებებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას, რომელიც 2012 წლიდან სისტემურად მუშაობს ადამიანის უფლებების, მართლმსაჯულებისა და დემოკრატიის, სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის პოლიტიკის საკითხებზე და მისი მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ინსტრუმენტია სტრატეგიული სამართალწარმოება ადგილობრივი და საერთაშორისო სასამართლოების წინაშე. ამდენად, ორგანიზაციას აქვს საკმარისი გამოცდილება და თეორიული ცოდნა, რაც მოცემულ საქმესთან დაკავშირებით მის შეფასებებს სანდოს და ღირებულს ხდის.

II. საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ზოგადი კონტექსტი

გამოსაყენებელი ნორმის სამართლებრივ შეფასებამდე მნიშვნელოვანია, გავანალიზოთ საქმის კონტექსტი და ფაქტებისა და გარემოებების ის ჯაჭვი, რომელიც წინ უსწრებდა სილის გაწვნის ეპიზოდს.

საქმეში პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გავრცელებული კადრები, სადაც ჩანს, რომ აქციის მიმდინარეობის დროს მზია ამაღლობელი ბათუმის პოლიციის სამმართველოს უფროსს

¹ ასევე, სოციალური სამართლიანობის ცენტრი მზადყოფნას აცხადებს, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო პროცესზე წარმოადგინოს ზეპირი განმარტებაც.

ირაკლი დგებუაძეს ესაუბრება, ამ დროს პოლიციელი ზურგს აქცევს მზია ამალლობელს, ქალი კი ქურთუვზე კიდებს ხელს ირაკლი დგებუაძეს, შემდეგ კი სილას გააწნის. ამის შემდეგ მზია ამალლობელს აკავებენ. ვიდეო კადრებში არ ჩანს ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც სილის გაწნამდე მომხდარ მოვლენებს სრულყოფილად აჩვენებს. თუმცა ვიდეო მასალა ტოვებს განცდას, რომ მზია ამალლობელის ქმედებას წინ გარკვეული გარემოებები უძღვის, რასაც შეეძლო ამგვარი განვითარების პროვოცირება მოახდინა.

მზია ამალლობელი პირველად შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) დამხმარე ადმინისტრაციული შენობის კედელზე ე. წ. „სტიკერის“ - „იფიცება საქართველო“ გაკვრისთვის დააკავეს. მზია ამალლობელის ადმინისტრაციული დაკავების ამსახველ ვიდეოში ისმის ირაკლი დგებუაძის ხმა: „150-ე მუხლია, კედელზე მიკვრაზე, ადმინისტრაციულ შენობაზე მიკვრაზე, სახელმწიფო შენობაზე...“² თუმცა პოლიციამ დაკავების ოქმში მიუთითა, რომ მზია ამალლობელი დააკავეს არა „სტიკერის“ გაკვრის, არამედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის შესაბამისად პოლიციისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების გამო. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის თანახმად, „მზია ამალლობელი იდგა აქციაზე და პოლიციის თანამშრომლებს აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ეძახდა რუსეთის მონებო, ძაღლებო, ღორებო“ და არაერთი მოწოდების მიუხედავად, მან არ შეწყვიტა ეს ქმედება.³

მზია ამალლობელის ადმინისტრაციული დაკავების ვიდეოკადრები⁴ გამორიცხავს დაკავების ოქმში მითითებულ ამ ფაქტობრივ გარემოებას და ჩნდება აშკარა ეჭვი, რომ მზია ამალლობელი არარსებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის დააკავეს. მზია ამალლობელი უსიტყვოდ და მშვიდად მიჰყვება პოლიციელებს, დაკავებამდე კი, იგი ასევე უხმოდ აკრავს სტიკერს და შემდგომ უსიტყვოდ ემორჩილება უკანონო დაკავებას. მნიშვნელოვანია სასამართლომ შეაფასოს სტიკერის შენობის ღობეზე დროებითი განთავსება, ჩაითვლება თუ არა იერსახის დამახინჯებად, ამასთან ამავე კოდექსით არ იკრძალება სტიკერის დროებითი განთავსება ადმინისტრაციულ შენობებზე. იმ შემთხვევაშიც, თუ ეს ქმედება იერსახის დამახინჯებად და ნახატის შესრულებად შეფასდებოდა, რამდენად ჰქონდა უფლება შსს-ს თანამშრომელს არ ქმედებისათვის პირის დაკავების უფლებამოსილება. მოქალაქის მიმართ ადმინისტრაციული წესით დაკავების საფუძვლებს ადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლი. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში პირის ადმინისტრაციული დაკავება დასაშვებია: 1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, როცა ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები; 2. პიროვნების დასადგენად; 3. ადმინისტრაციულ

² ბათუმელები, "ადმინისტრაციული დაკავებთ, 150-ე მუხლით" - დგებუაძე მზია ამალლობელის პირველი დაკავების შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=78f3EE096CE&list=PL9JVEj0VBrt36W4Ik6GGDGCR2R91Cadd8&index=11>.

³ ნეტგაზეთი, ადვოკატი ხსნის, ყველაზე მძიმე შემთხვევაში რა სამართალდარღვევაზე (არ) შეიძლება ედავონ მზია ამალლობელს, 12 თებერვალი, 2025, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/life/763383/>.

⁴ ბათუმელები, დამხმარე ნაგებობაზე პლაკატის გაკვრის გამო დააკავეს მზია ამალლობელი, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=v3zf-X1fU8>.

სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად, თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია; 4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დროულად და სწორად განხილვისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების აღსრულების უზრუნველსაყოფად.

სწორედ პირველი და მეორე გარემოებებია მითითებული მზია ამაღლობელის დაკავების ოქმში, თუმცა ქმედება უკვე ჩადენილი იყო და ასევე, იმწუთიერად მოხდა მისი აღკვეთა პოლიციელის მიერ სტიკერის მოხსნით, ხოლო რაც შეეხება პიროვნების დადგენას, მზია ამაღლობელის ამოცნობა ადგილზე მყოფი პოლიციელებისთვის სირთულეს არ წარმოადგენდა.⁵

ხელწერილით გათავისუფლების შემდგომ, მზია ამაღლობელმა დატოვა პოლიციის განყოფილების შენობა და შეუერთდა აქციის მონაწილეებს, რომლებიც პოლიციის ეზოს გარეთ განაგრძობდნენ პროტესტს. თვითმხილველების განმარტებით, სილის გაწნის ეპიზოდს წინ უძღოდა პოლიციელების მხრიდან ადგილზე მყოფი მშვიდობიანი შეკრების მონაწილეების, მათ შორის, მედია გამოცემა „ბათუმელების“ რედაქტორის და მზია ამაღლობელის მეგობრის, ეთერ თურამის ორი ნათესავის, დაკავება, რასაც ჭყლეტაც ახლდა თან.⁶ ჩოჩქოლში მზია ამაღლობელი წაიქცა და რამდენჯერმე მას ფეხი დააბიჯეს სხეულზე. ეს ქმედებები მზია ამაღლობელმა და ეთერ თურამემ ადგილზე გააპროტესტეს.⁷ შესაბამისად, სასამართლომ უნდა შეაფასოს შეიძლებოდა თუ არა რომ მზია ამაღლობელის რეაქცია პოლიციელების მხრიდან თვითნებური ქმედებების შედეგად ყოფილიყო პროვოცირებული.

მზია ამაღლობელის თქმით, სისხლის სამართლის წესით დაკავების შემდეგ, პოლიციის განყოფილების ეზოსა⁸ და განყოფილების შენობაში, ირაკლი დგებუაძის მიერ მის მიმართ განხორციელდა არასათანადო მოპყრობა. მისივე თქმით, პოლიციის სამმართველოს უფროსმა მზია ამაღლობელს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაემუქრა, რომ მის წინააღმდეგ საქმეს სისხლის სამართლის წესით დაიწყებდა. მზია ამაღლობელის განმარტებით, დგებუაძემ განყოფილებაში რამდენჯერმე სცადა მას ფიზიკურად გასწორებოდა, თუმცა პოლიციის სხვა თანამშრომლებმა შეძლეს ირაკლი დგებუაძის შეკავება და მისი ოთახიდან გაყვანა. ოთახში ერთ-ერთი შესვლისას კი მან მზია ამაღლობელს სახეში შეაფურთხა. ასევე, მისი ბრძანების შესაბამისად, მზია ამაღლობელს გარკვეული დროის განმავლობაში არ ეძლეოდა წყლის დალევისა და საპირფარეშოთი სარგებლობის შესაძლებლობა. მზია ამაღლობელი პერიოდულად ითხოვდა ადვოკატებთან დაკავშირებას, თუმცა, მისი მოთხოვნა

⁵ მზია ამაღლობელის წინააღმდეგ მიმდინარე ადმინისტრაციული საქმის პირველი პროცესი 6 მარტს გაიმართა, თუმცა მისი განხილვა არ დასრულებულა და ის 13 მარტისთვის გადაიდო. ვრცლად ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33338930.html>.

⁶ ბათუმელები, რა ხდებოდა სანამ მზია ამაღლობელს მეორედ დააკავებდნენ, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=V6UDBDTEUV0>.

⁷ სოფო ზურაბიანის პოლიტიკის ფორმულა, ინტერვიუ გელა მთივილიშვილთან, 13 იანვარი, 2025, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/PolitikisFormula/videos/1173338957498099>.

⁸ ბათუმელები, „სისხლით დავიჭერ“ - დგებუაძის მუქარა მზია ამაღლობელს, 13 იანვარი, 2025, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/batumelebi/videos/787612133562804>.

იგნორირებული იყო. პარალელურად, ადვოკატები დაახლოებით 3 საათის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ პოლიციის განყოფილებაში შესვლას და მზია ამდღობელთან შეხვედრას.⁹

საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისთვის მნიშვნელოვანია სასამართლომ შეაფასოს მზია ამდღობელის მხრიდან პოლიციელისთვის სილის გაწმამდე არსებული ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლომ უნდა შეაფასოს მზია ამდღობელის მხრიდან სილის გაწმამს, რომელსაც წინ უძღოდა მისი პირველი დაკავება, ამ დროს სამართალდამცველების დაქვემდებარებაში ყოფნა, მისი 2 ახლობლის აგრესიული დაკავება და ჭყლეტაში განცდილი გაღიზიანება, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა ეს გარემოებები ყოფილიყო მზია ამდღობელის რეაქციული ქმედების საფუძველი. სასამართლომ ასევე უნდა შეაფასოს მზია ამდღობელის მხრიდან პოლიციელების მიმართ მსგავს ქმედებას ჰქონია თუ არა ადგილი სხვა დროს იმის მიუხედავად, რომ მას პოლიციელების გარემოცვაში და სტრესულ პირობებში მუშაობის დიდი ხნის გამოცდილება აქვს. ,

III. სსკ-ის 353¹ მუხლით კვალიფიკაციის დამაფუძნებელი გარემოებები

სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი დანაშაულია - სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების (ობიექტური და სუბიექტური) შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის ერთობლიობა.

ქმედების შემადგენლობა გულისხმობს პირის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობის დადგენას სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში მოცემულ მუხლში აღწერილ ქმედებასთან. სსკ-ს 353¹ მუხლის პირველი ნაწილით დასჯადია *პოლიციელზე, ... ანდა მის სამსახურებრივ ან საცხოვრებელ შენობაზე, ან მის სატრანსპორტო საშუალებაზე, ანდა მისი ოჯახის წევრზე თავდასხმა პოლიციელის ... სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.*

შესაბამისად, ამ მუხლით დაკვალიფიციერებისას სახეზე უნდა იყოს ქმედების შემადგენლობის მოცემული საკვანძო ელემენტები:

- თავდასხმა - როგორც განსაკუთრებული ძალადობრივი, აგრესიული აქტი;
- თავდასხმის განხორციელება პირდაპირი განზრახვით;
- თავდასხმის მიზანი დაკავშირებული უნდა იყოს პოლიციელის სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებასთან.

მზია ამდღობელის ქმედება - გაშლილი ხელი, რომელიც ირაკლი დგებუაძეს სახეზე ხვდება, არცერთ ამ ელემენტს არ მოიცავს.

⁹ მოვუწოდებთ პროკურატურას შეწყვიტოს მზია ამდღობელის მიმართ დაწყებული პოლიტიკური დევნა, 12 თებერვალი, 2025, ხელმისაწვდომია: <https://gvla.ge/post/mzia-amaglobelis-saqme>.

3.1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა - თავდასხმა, როგორც განსაკუთრებული ძალადობრივი, აგრესიული აქტი

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ამ დანაშაულის ობიექტური მხარე თავდასხმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომელიც აგრესიული აქტია, რასაც თან ახლავს ძალადობა ან ძალადობის მუქარა.¹⁰ ის პირდაპირი განზრახვით ცემას, ჯანმრთელობის დაზიანებას, არსებითად ძალადობრივ ქმედებებს მოიცავს. თავდასხმა გულისხმობს უეცარ იერიშს, გამოხდომას, თავს დაცემას.¹¹ შესაბამისად, რომ განვაზოგადოთ, თავდასხმა შესაძლოა, ფიზიკურ ზემოქმედებასაც გულისხმობდეს, მაგრამ მთავარი, რაც მას განასხვავებს ჩვეულებრივი ფიზიკური ზემოქმედებისგან, არის ის, რომ თავდასხმა იწვევს უეცარი საფრთხის, დაუცველობის, ხიფათის მძაფრ განცდას. ქალის მიერ კაცისთვის სილის გაწნა ასეთ განცდებს არ აღძრავს, განსაკუთრებით, თუ ეს პოლიციელი კაცია, ინციდენტი ხდება პოლიციასთან ახლოს, არაერთი პოლიციელის გარემოცვაში.

ქმედების თავდასხმად შეფასებისთვის აუცილებელი ელემენტი სამართლებრივი სიკეთეებისთვის ძალადობრივი აქტიდან მომდინარე სერიოზული საფრთხეა. თავდასხმის აქტი, მეტწილად გულისხმობს გარკვეული ტიპის წინასწარ მომზადებას, ინფორმაციის შეგროვებას, დაგეგმვას, რაზეც მიუთითებს თავად მუხლის შემადგენლობაც - იგი სამართალდამცველის გარდა, თავდასხმისგან იცავს მის საცხოვრებელ შენობას, სატრანსპორტო საშუალებას თუ ოჯახის წევრებს. მართალია, ამ მუხლის შემადგენლობიდან არ გამოირიყვება სპონტანური თავდასხმის შესაძლებლობაც, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ძალადობის ხარისხი სისხლის სამართლის კოდექსით დაცული სამართლებრივი სიკეთეებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების მინიმუმ სერიოზულ საფრთხეს უნდა შეიცავდეს.

ზემოხსენებულ განმარტებათა სისწორეს ადასტურებს სისხლის სამართლის კოდექსში სიტყვა თავდასხმის ექსკლუზიური გამოყენება ისეთ დანაშაულებთან, როგორცაა მაგალითად ყაჩაღობა, ბანდიტიზმი, ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, მეკობრეობა, ტერორისტული აქტი. ასევე, ყურადსაღებია, რომ სსკ-ის 325-ე მუხლი დასჯადად აცხადებს სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმას, ნორმის დისპოზიციის კი თავდასხმად მიჩნეულია პირის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების

¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე №289აპ-24 საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ, 8 ივლისი, 2024 წელი.

¹¹ მაგალითისთვის თავდასხმის განმარტება იხილეთ უნივერსალურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში, შემდგენელი: ალექსანდრე ელერდაშვილი, პირველი გამოცემა, 3 ტომად, თბილისი, ფანტაზია, 2006, ხელმისაწვდომია: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=89728>; სამართლებრივი განმარტებები უცხოურ ენციკლოპედიებში ხელმისაწვდომია: <https://www.law.cornell.edu/wex/assault>; <https://www.oxfordreference.com/display/10.1093/oi/authority.20110803095429458>.

ხელყოფა. ტერმინოლოგიურად შეუძლებელია, ერთ შემთხვევაში კოდექსი თავდასხმად სხვა რამეს გულისხმობდეს, მეორეში კი – სხვას.

სისხლის სამართლის კოდექსი ძალადობრივი ქმედების დასჯადობას სხვადასხვა მუხლით, სხვა გარემოებებთან ერთად, ფიზიკურ ტკივილს ან დაზიანების ხარისხს უკავშირებს. ძალადობის ყველაზე მსუბუქი და სისხლისსამართლებრივად დასჯადი ფორმა სსკ-ის 126-ე მუხლით გათვალისწინებული ცემა ან სხვაგვარი ძალადობაა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანების გარეშე. არსებობს უზენაესი სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ, სადაც ბრალდება „პოლიციელზე თავდასხმა“ სასამართლომ „ძალადობაზე“ - სსკ-ის 126-ე მუხლი გადააკვალიფიცირა, რომელიც ბევრად უფრო მსუბუქი კატეგორიის დანაშაულია, ვიდრე თავდასხმა, რასაც ადასტურებს ამ ქმედების ჩადენისთვის სსკ-ით გათვალისწინებული სასჯელიც.

კერძოდ, უზენაესმა სასამართლომ, არა პოლიციელზე თავდასხმად, არამედ ძალადობად (სსკ-ის 126-ე მუხლი) ჩათვალა შემდეგი ქმედებები:

- პოლიციელების ჯგუფურად ცემა, მათ შორის, ქალი¹² პოლიციელის ცემა, რაც გამოიხატა ხელის სახეში გარტყმასა და ფეხის ბარძაყში ჩარტყმასი, ასევე – დაზიანებების მიყენებაში მარჯვენა მუხლის არესა და მარცხენა ხელზე, რომლის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი და გამოიწვია ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება.¹³
- მუშტის ძლიერი დარტყმა თვალის არეში, გინებასთან ერთად, რის შედეგადაც დაზარალებულმა თავი ვერ შეიკავა, სახე დაარტყა ღობეს და განიცადა ფიზიკური ტკივილი.¹⁴
- თავის ჩარტყმა თავის არეში, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი.¹⁵
- აგრესიული ქცევა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხელის ცხვირში ძლიერად დარტყმა, ასევე, მიმალვის მცდელობისას ადევნებული დაზარალებული პოლიციელისთვის ხელკეტების არაერთგვარადი დარტყმა თავისა და ტანის არეში, სამსახურებრივი

¹² უზენაესი სასამართლო განჩინებებს საქმეში მონაწილე პირების იდენტიფიცირების გარეშე, ინიციალებით აქვეყნებს, თუმცა უზენაესი სასამართლოს მიერ 2023 წელს მიღებულ ამ განჩინების ერთ მონაკვეთში ჩანს, რომ დაზარალებულად მიჩნეული ერთ-ერთი პოლიციელი ქალია.

¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #330100119003106908 (№1045აპ-22) საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ, ქ. თბილისი, 11 იანვარი, 2023 წელი.

¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #160100123007507352 (№474აპ-24) საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ, ქ. თბილისი, 10 სექტემბერი, 2024 წელი.

¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #010100122006548824 (№253აპ-24) საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ, ქ. თბილისი, 24 ივნისი, 2024 წელი.

საშტატო იარაღის წართმევის მცდელობა, რა დროსაც იარაღიდან განხორციელდა შემთვევითი გასროლა.¹⁶

- ხელებისა და ფეხების სხეულისა და სახის არეში დარტყმა, სიტყვიერ შეურაცხყოფასა და სხვა აგრესიულ ქმედებებთან ერთად, რის შედეგად დაზარალებულმა განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი.¹⁷
- გინება და მუშტის დარტყმა სახისა და თავის არეში, რის გამოც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.¹⁸
- სახის არეში ხელის დარტყმა, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა განიცადა ფიზიკური ტკივილი და მიიღო მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად. სამედიცინო დასკვნის თანახმად, პოლიციელი უჩიოდა თავის ტკივილს, სახისა და ტუჩის არეში – წვის შეგრძნებას. მარცხენა ლოყის არეში აღენიშნებოდა თითების ნაკვალევი სიწითლის სახით. ქვედა ტუჩის არეში ისინჯებოდა მცირე ზომის შეშუპება და შიგნითა ზედაპირზე – მცირე ნახეთქები.¹⁹

მნიშვნელოვანია ისიც, რომ უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „...ცემად ვერ შეფასდება ერთი დარტყმა, თუნდაც მან ფიზიკური ტკივილი გამოიწვიოს. ერთჯერადი დარტყმა უნდა ჩაითვალოს სხვაგვარ ძალადობად, რაც მართალია არ ცვლის ქმედების კვალიფიკაციას [საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლი], თუმცა ცვლის ბრალდების ფორმულირებას“. შესაბამისად, თუ სილის გაწნა 126-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი დასჯადი ქმედება - ცემა არ არის, ის თავდასხმად მით უმეტეს ვერ ჩაითვლება.

ასევე, აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 126-ე მუხლით ქმედების დანაშაულად კვალიფიცირებისთვის დაზარალებულის მხრიდან ტკივილის აღქმა აუცილებელი წინაპირობაა.²⁰ მზია ამალლობელის განზრახვის ანალიზის გარეშეც კი ცხადია, რომ მზია ამალლობელის მოქმედებებს არ გამოუწვევია იმ ტიპის ტკივილი, რაც სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედების ხარისხს მიაღწევდა. გამოძიების მიერ ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ბათუმის პოლიციის სამმართველოს უფროსს, ირაკლი დგებუაძეს, არ მიუღია არანაირი დაზიანება. შესაბამისად, საქმეში არ არის მტკიცებულებები, რომლებიც შესაძლებელს გახდიდა დაზარალებულისთვის ფიზიკური ტკივილის მიყენების მტკიცებას, რაც, თავის მხრივ, ამ დანაშაულის არსებობის დადგენისათვის აუცილებელი პირობაა.

¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #330100122005542913 (№519აპ-23) საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ, ქ. თბილისი, 11 სექტემბერი, 2023 წელი.

¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #330100119003106908 (1045აპ-22) საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ, ქ. თბილისი, 11 იანვარი, 2023 წელი.

¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #0160100119002935126 (№365აპ-20) საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ, ქ. თბილისი, 16 სექტემბერი, 2020 წელი.

¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #210100119002891258 (№967აპ-21) საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ, ქ. თბილისი, 4 აპრილი, 2022 წელი.

²⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, საქმე № 18/1616-19 20 იანვარი, 2020 წელი.

3.2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა - თავდასხმის განხორციელება პირდაპირი განზრახვით და თავდასხმის მიზანი

ზოგადად დანაშაულებრივი ქმედება სუბიექტური მხრივ შეიძლება ჩადენილ იქნეს განზრახვი ან გაუფრთხილებელი დანაშაულის ფორმით. თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ქმედების სუბიექტური შემადგენლობა სხვა სუბიექტურ ნიშნებსაც შეიძლება მოიცავდეს. მათ შორის, სპეციალურს მიზანს და უმართლობის დამაფუძნებელ სხვა მოტივებს.²¹

ქმედებაში გამოვლენილი მოტივისა და მიზნის შეფასება რამოდენიმე ასპექტზე ახდენს გავლენას. კერძოდ, „დანაშაულებრივ ქმედების გამიჯვნა არადანაშაულებრივისგან, დანაშაულების ერთმანეთისგან გამიჯვნა, დანაშაულის კვალიფიციური შემადგენლობის შექმნა, სასჯელის დამძიმება ან შემსუბუქება“²² შეიძლება მოვიაზროთ მოტივისა და მიზნის ფუნქციებში. იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად მოტივს და მიზანსაც განასხვავებენ, თუმცა ამ დოკუმენტის მიზნებისთვის მათ ერთობლიობაში განვიხილავთ. მოტივი მიგვითითებს იმაზე, თუ რატომ განხორციელდა დანაშაული, ხოლო მიზანი არის ის, რისკენაც დამნაშავე მისწრაფის ანუ საბოლოო შედეგი. არსებობს სხვადასხვა სახის მოტივი, როგორცაა: ეჭვიანობა, შურისძიება, ანგარება, შეუწყნარებლობის მოტივი და ა. შ. მოტივი და მიზანი არის ის, რაც ქცევას მნიშვნელობას აძლევს, რომლის გარეშეც იგი უბრალო ფიზიკური ფაქტი იქნებოდა. ქცევის შეფასება ხდება სწორედ იმის გათვალისწინებით, თუ რა მოტივი და მიზანი ედო მას საფუძვლად. ობიექტურად ერთი და იგივე სახის მოქმედება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მიზნითა და მოტივით. შესაბამისად, მოტივისა და მიზნის განსაზღვრამ შესაძლოა დანაშაულებრივი ქმედების არადანაშაულებრივისგან გამიჯვნას შეუწყოს ხელი ან პირიქით, ერთი შეხედვით მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ქცევა უმართლობად აქციოს.²³

მიზანი და მოტივი, როგორც უმართლობის დამაფუძნებელი გარემოებები, არსებით მნიშვნელობას იძენს დანაშაულებრივი ქმედებით ხელყოფილი სიკეთის განსაზღვრის თვალსაზრისით. თუ რომელი სიკეთის წინააღმდეგ იყო მიმართული დანაშაულებრივი ქმედება, ამის დადგენაში სწორედ მოქმედი პირის მიზანი და მოტივი გვხმარება. 353¹ მუხლით ქმედების კვალიფიკაციისთვის, სასამართლო პრაქტიკაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია პირის მიზანზე, თავს დაესხას პოლიციელს მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. ეს მიზანი შეიძლება სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილება,

²¹ მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი: ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, მერიდიანი, თბილისი, 2013, გვ. 125.

²² ირაკლი დვალიძე, მოტივი და მიზანი ქართული სისხლის სამართლის დოქტრინაში, 2007.

²³ თემურ ცქიტიშვილი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი (სსკ-ის მე-7 მუხლის განმარტებისათვის), შედარებითი სამართლის ჟურნალი 7/2023, გვ. 73 – 115.

მოწმის მოშორება, შურისძიება თუ სხვა რამ იყოს.²⁴ ამას ადასტურებს ისიც, რომ ეს მუხლი მოცემულია მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრაქტიკა ამ დანაშაულის შემადგენლობის განმარტებისას ყურადღებას ამახვილებს პირის მიზანზე, თავს დაესხას პოლიციელს მის სამსახურებრივ საქმიანობაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით. ცხადია, ამ დანაშაულის მიზანი სამართლებრივი სიკეთის - პოლიციელის კანონიერი უფლებამოსილების განხორციელების - დაცვაა. ამ შემთხვევაში, სილის გაწნას პოლიციელის უფლებამოსილების განხორციელებისთვის დაბრკოლება არ შეუქმნია. სსკ-ის 353¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული იმიტომ არის მიზნით დაფუძნებული, რომ ამ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი უმართლობა სპეციალური მიზნის/მოტივის გარეშე სახეზე არ იქნება და ქმედება შესაბამისი მუხლებით ვერ დაკვალიფიცირდება.

განზრახვისა და მიზნის/მოტივის არარსებობა, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებით, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია იმის დასადგენად სახეზეა თუ არა 353¹ მუხლით გათვალისწინებული თავდასხმა. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით, კონფლიქტი თუ „მყისიერ გაღიზიანებას“ მოჰყვა, ეს არის სსკ-ის 126-ე მუხლით გათვალისწინებული ძალადობა და არა თავდასხმა. კერძოდ, სასამართლოს მსჯელობაში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ქმედების ხასიათი, კერძოდ იყო თუ არა ის წინასწარ დაგეგმილი თუ იმწუთიერი ვითარებით განპირობებული რეაქცია. შესაბამისად, ერთ-ერთ საქმეში სასამართლოს მთავარი არგუმენტი თავდასხმის არარსებობაზე სწორედ ის იყო, რომ „...არაერთი ჩვენება ადასტურებს კონფლიქტის იმწუთიერ განვითარებას და მსჯავრდებულის მყისიერ გაღიზიანებას.“ ამ საქმეზეც სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულებს პოლიციელზე თავდასხმის, ესე იგი, პოლიციელის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მისი ჯანმრთელობის ხელყოფის მიზანი არ ამოდრავებდათ, არამედ კონფლიქტი წარმოიშვა ყოფით ნიადაგზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკების შედეგად.²⁵

შესაბამისად, ბრალდების დადგენილებით გათვალისწინებული კვალიფიკაცია აშკარად დაუსაბუთებელია. მზია ამაღლობელს არ ჰქონდა თავდასხმის განზრახვა, არამედ მის ქცევას წინ უძღოდა ადგილზე წარმოშობილი კონტექსტი, რომელზე პასუხიც იყო სილის გაწნა (იხ. თავი II).

სასამართლო პრაქტიკა მნიშვნელოვან ხარვეზებს აჩვენებს, პოლიციელზე თავდასხმის (სსკ-ის 353¹-ე მუხლი) შემადგენლობის სისხლის სამართლის კოდექსის კიდეც ერთი მუხლით (353-ე მუხლი) გათვალისწინებული ქმედებისგან გამიჯვნის კუთხით. ამ უკანასკნელით დასჯადია პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, აგრეთვე აშკარად უკანონო ქმედებისთვის მისი იძულება, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის

²⁴ თბილისის საქალაქო სასამართლო, 31 იანვარი, 2020 წელი, საქმე #1/3811-19.

²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #330100122005542913 (№519აპ-23) საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ, ქ. თბილისი, 11 სექტემბერი, 2023 წელი.

მუქართ. ამ მუხლით ქმედების კვალიფიკაციის ამოსავალი წერტილი (ძალადობით ან ძალადობის მუქართ) წინააღმდეგობის გაწევას, რომელიც მაგალითად, დაკავებისგან თავის დაღწევას, საგამომიებო თუ საპროცესო მოქმედების ხელშეშლას, შეწყვეტას შეიძლება ემსახურებოდეს.²⁶ შესაბამისად, სსკ-ის 353-ე მუხლის შემადგენლობაში მოექცევა სამართალდამცავის კანონიერი, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისკენ მიმართული საქმიანობის ხელშეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქართ. ამ მუხლის მიზნებისთვის, ძალადობა გულისხმობს ცემასა და ჯანმრთელობის დაზიანებას, ძალადობის მუქარა კი მოიცავს როგორც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ, ისე ასეთი საშიშროების არმქონე მუქარას. ამასთან მუქარა უნდა იყოს ისეთი, რომ ხელისუფლების წარმომადგენელს გაუჩნდეს მისი განხორციელების რეალური შიშის საფუძველი. სისხლისსამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტს წარმოადგენს პოლიციის მუშაკის კანონიერი საქმიანობა, ხოლო დამატებით ობიექტს მისი პირადი უსაფრთხოება.²⁷ ერთი მხრივ, პოლიციელის ქმედების კანონიერების ფარგლები და მეორე მხრივ, მოქალაქის მხრიდან ძალადობის ან ძალადობის მუქარის არსებობა სსკ-ის 353-ე მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი ელემენტებია, რაც ყოველ კონკრეტულ საქმეში სასამართლოს შეფასების საგანი უნდა იყოს.

თუმცა, მთავარი და არსებითი მახასიათებელი, რითიც სსკ-ის 353-ე მუხლის 353¹ მუხლისგან გამიჯვნა ხდება შესაძლებელი, არის სწორედ ბრალდებულის განზრახვა, მიზანი და მოტივი. საკასაციო სასამართლოს მიერ აღნიშნულ დანაშაულთა შემადგენლობებთან მიმართებით განმარტებულია შემდეგი: იმისათვის, რომ სამართლებრივად სწორად შეფასდეს დავის საგნად ქცეული ქმედების კვალიფიკაცია, უნდა გაივლოს ზღვარი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობასა და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფას შორის; უნდა გაიმიჯნოს ამ დანაშაულთა შემადგენლობებისთვის სავალდებულო ნიშნები და დადგინდეს, პოლიციელთა ჯანმრთელობის ხელყოფა იყო დანაშაულებრივი მიზნის მიღწევის საშუალება თუ წარმოადგენდა ხელყოფის უშუალო ობიექტს; აუცილებელია ქმედების მოტივის გარკვევა, არსებობს თუ არა კავშირი პოლიციელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასა და მასზე, ანდა კანონში მითითებულ ობიექტზე, განხორციელებულ ხელყოფას შორის.²⁸

მინის ბოთლის თავში ჩარტყმა, რის შედეგადაც დაზარალებულ პოლიციელს „აღნიშნებოდა კეფის არეში პალპატორულად მტკივნეული ჰემატომა, განვითარებული რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის ზემოქმედების შედეგად“, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 12 ოქტომბრის განაჩენით, სსკ-ის 353¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის [პოლიციელზე თავდასხმა, მისი

²⁶ თბილისის საქალაქო სასამართლო, 31 იანვარი, 2020 წელი, საქმე #1/3811-19.

²⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, 7 ნოემბერი, 2019 წელი, საქმე № 18/1637-19.

²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე N468აპ-20 საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ, 12 ნოემბერი, 2020 წელი.

ჯანმრთელობის ხელყოფა] ნაცვლად გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 353-ე [პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა] მუხლის 1-ელ ნაწილზე. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მითითებულ საქმეზე განავითარა შემდეგი მსჯელობა, რომ ბრალდებულის ქმედებაში არ იყო გამოკვეთილი ბრალად წარდგენილი დანაშაულის შემადგენლობისათვის სავალდებულო ნიშანი – პოლიციის თანამშრომლის ჯანმრთელობის ხელყოფის განზრახვა მის საქმიანობასთან დაკავშირებით, ვინაიდან ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზი ცხადყოფს, რომ მსჯავრდებულმა წინააღმდეგობა გაუწია პოლიციის თანამშრომელს, რომელიც ცდილობდა, დაეცვა საზოგადოებრივი წესრიგი, რასაც მოჰყვა მისი სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს ამ მსჯელობით, მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულმა პოლიციელს მიაყენა სხეულის დაზიანება ცივი იარაღით, იგი არ მოქმედებდა მისი ჯანმრთელობის დაზიანების განზრახვით, არამედ წინააღმდეგობას უწევდა პოლიციელს. სასამართლოს განმარტებით სსკ-ის 353¹ მუხლით [პოლიციელზე თავდასხმა] კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ დამნაშავის ქმედება მიმართული იყოს პოლიციელის ჯანმრთელობის დაზიანებისაკენ და იგი მოქმედებდეს ამ განზრახვით.²⁹

რაც შეეხება, ძალადობის გარეშე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლისადმი წინააღმდეგობის გაწევას, მის სიტყვიერ შეურაცხყოფას ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელებას, ის არა სისხლისსამართლებრივი, არამედ ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა.

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ პოლიციელისთვის სილის გაწნა პოლიციელზე თავდასხმა არ არის. კეთილსინდისიერი განმარტების პირობებში, სილის გაწნა იმ სახის აგრესიულ და წინასწარგანზრახულ, დაგეგმილ და მოტივირებულ ქმედებად ვერ ჩაითვლება, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულის - პოლიციელზე თავდასხმის - უკან მოიაზრება. ასეთია თავად საბოლოო ინსტანციის სასამართლოს დადგენილი პრაქტიკა.

3.3. ნორმის განჭვრეტადობის პრობლემა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია კანონიერების პრინციპს მეშვიდე მუხლში მოიაზრებს და ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც თავის პრეცედენტულ სამართალში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კანონიერების პრინციპის მნიშვნელობას, როგორც ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი სანქციის დაწესების წინაპირობას. სასამართლო სახელმწიფოების საკანონმდებლო და სასამართლო

²⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #010100121004660027 (№481აპ-22) საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ, ქ. თბილისი, 31 მაისი, 2022 წელი.

ხელისუფლებისგან ითხოვს, რომ ნებისმიერი ნორმა, რომელიც აწესებს მსგავს სანქციას, იყოს ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი ნორმის ნებისმიერი ადრესატისათვის.³⁰

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, კონკრეტული კონსტიტუციური უფლების შინაარსის კონსტიტუციით დასაშვებ ფარგლებში განსაზღვრისთვის კანონმდებელი ვალდებულია, მიიღოს ზუსტი, მკაფიო, არაორაზროვანი, განჭვრეტადი კანონმდებლობა (ნორმები), რომელიც პასუხობს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნას. ეს გარემოება ერთ-ერთი გადაწყვეტი კრიტერიუმია ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას. კანონმდებლის ასეთი ვალდებულება კი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან მომდინარეობს. კანონად შეიძლება ჩაითვალოს საკანონმდებლო საქმიანობის მხოლოდ ის პროდუქტი, რომელიც პასუხობს კანონის ხარისხის მოთხოვნებს. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს კანონის შესაბამისობას სამართლის უზენაესობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპებთან. ამ პრინციპების რეალური დაცვისთვის პრაქტიკული და გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს კანონის ხელმისაწვდომობასა და განჭვრეტადობას. კანონის ხარისხი მოითხოვს, რომ საკანონმდებლო რეგულაცია იყოს იმდენად მკაფიო, რომ პირმა, რომლის უფლებაში ჩარევაც ხდება, შეძლოს სამართლებრივი მდგომარეობის ადეკვატურად შეცნობა და საკუთარი ქმედების შესაბამისად წარმართვა. ნორმის ბუნდოვანება, რომელიც ხელმისაწვდომობისა და განჭვრეტადობის კრიტერიუმებით ფასდება, არსებით გავლენას ახდენს, თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით, ნორმის კონსტიტუციურობის დადგენაზე.³¹

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, კანონის განსაზღვრულობის და განჭვრეტადობის პრინციპი, განსაკუთრებულად მაღალ მოთხოვნებს ითვალისწინებს სისხლის სამართლის კანონის მიმართ, რადგანაც ის არამხოლოდ განსაზღვრავს პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის შესაბამისი კანონის არსებობის აუცილებლობას, არამედ ასევე ადგენს პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი კანონის ხარისხობრივ სტანდარტებს.³² იგი ემყარება საყოველთაოდ ცნობილ პრინციპებს – „არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე“ (*Nullum Crimen Sine Lege*) და „არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე“ (*Nulla Poena Sine Lege*).³³

დანაშაულის დამდგენი სისხლის სამართლის კანონის განჭვრეტადობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, შესაძლებელი იყოს მისი თითოეული ელემენტის ნამდვილი შინაარსისა და

³⁰ CASE OF YÜKSEL YALÇINKAYA v. TÜRKİYE, 15669/20, 26/09/2023; ასევე, იხ.: The Sunday Times v. United Kingdom, 6538/74, 26/4/1979, para. 47, 49; Casado Coca v. Spain, 15450/89, 24/2/1994, para. 43. ანალოგიურ სტანდარტებს აწესებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო: ECJ C-439/01 Judgment of 16. 1. 2003 Cipra and Kvasnicka, para. 47; ECJ C – 169/80 Judgment of 9.7. 1981. Gondrand Frbes and Garancini, para. 17; ECJ 257/86 Judgment of 21. 6. 1988 Commi ion v. Italy, para. 12; ECJ 325/85 Judgment of 15. 12. 1987 Ireland v. Commi son, para. 18.

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ევატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11,12.

³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება №2/2/516,542 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 29.

³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2011 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება №3/2/416 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 38.

ფარგლების დადგენა, რათა ადრესატმა სწორად აღიქვას კანონი და მისი მოთხოვნების შესაბამისად განახორციელოს თავისი ქცევა, ამასთან, დაცული იყოს სამართალშემფარდებლის თვითნებობისაგან.³⁴

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, განსაზღვრულობისა და განჭვრეტადობის მოთხოვნას ორი ძირითადი ფუნქცია აკისრია. ერთი მხრივ, აღნიშნული მოთხოვნა იცავს ინდივიდს სახელმწიფოს თვითნებობისგან, ხოლო მეორე მხრივ, პირს შესაძლებლობა ეძლევა მისი მოქმედება წარმართოს ნორმის მოთხოვნების შესაბამისად. „განჭვრეტადი და არაორაზროვანი კანონმდებლობა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პირის დაცვას სამართალშემფარდებლის თვითნებობისგან, მეორე მხრივ კი, ადგენს გარანტიას, რომ პირმა მიიღოს მკაფიო შეტყობინება სახელმწიფოსგან, რათა მოახერხოს ნორმის სწორი აღქმა, განსაზღვროს, რომელი ქმედებაა კანონით აკრძალული და რომელ ქმედებას შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი პასუხისმგებლობა. პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, განჭვრიტოს საკუთარ ქმედებაში აკრძალული ქმედების ნიშნები და წარმართოს საკუთარი ქცევა კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად“.³⁵

სსკ-ის 353¹ მუხლი, რომლითაც გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას მზია ამაღლობელს ედავებიან, სამართლებრივი თვალსაზრისით საკმაოდ პრობლემურია. მას განუსაზღვრელი შინაარსი აქვს და საგამომიებო ორგანოებს ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას აძლევს.

ასევე, ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ სისხლის სამართლის კოდექსში ეს მუხლი 2011 წლის ივლისში დაემატა, მას შემდეგ, რაც წინა ხელისუფლების დროს პოლიციამ ძალადობრივად დაშალა 26 მაისის დემონსტრაცია. ჯერ კიდევ მაშინ, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები და სამოქალაქო სექტორი მიუთითებდა ამ ნორმის პრობლემურ შინაარსზე და მისი მშვიდობიანი დემონსტრანტების დასასჯელ ინსტრუმენტად გამოყენების საფრთხეებზე.³⁶

353¹ მუხლი პასუხისმგებლობას აწესებს პოლიციელსა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებზე თავდასხმისთვის, ისე რომ არ განსაზღვრავს თავდასხმის დეფინიციას, მის ინტენსივობასა და მეთოდებს, რითაც სამსახურებრივი მდგომარეობით მოტივირებული ნებისმიერი სახის ფიზიკური შეურაცხყოფის, ძალადობისა და წინააღმდეგობის ამ დანაშაულის ქვეშ მოქცევის შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისად, ნორმის ასეთი განუსაზღვრელობა სახელმწიფოს ხელში შესაძლოა იქცეს შერჩევითი და დისკრიმინაციული

³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 36.

³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება №2/2/516,542 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 30.

³⁶ ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერნეტგაზეთი, ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში 28 ივნისი, 2011, ხელმისაწვდომია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=text&pid=13561&lang=geo>.

პოლიტიკის გატარების იარაღად. სწორედ ასეთ დროს აქვს უმნიშვნელოვანესი როლი სასამართლოს, კერძოდ, არ დაუშვას ნორმის მსგავსი თვითნებური განმარტებები.

IV. სისხლის სამართალი, როგორც უკანასკნელი საშუალება - „*ultima ratio*” პრინციპი

სისხლის სამართალი მოქმედებას იწყებს მაშინ, როდესაც სხვა სამართლებრივი დარგები უშედეგოა. სისხლის სამართლის კანონი, ზღუდავს რა გარკვეულ ქმედებათა თავისუფლებას, არ უნდა გასცდეს იმ აკრძალვებს, რომლებიც აუცილებელია ადამიანთა თავისუფალი და მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის. სწორედ ეს აუცილებლობა განაპირობებს, სისხლის სამართლის გამოყენებას, როგორც უკიდურეს და უკანასკნელ (ე.წ. *ultima ratio* პრინციპი) საშუალებას სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. ამასთან, იგი წარმოადგენს ყველაზე მძაფრ ინსტრუმენტს, რომლის მიზანია ისეთ საშიშ ქმედებებთან ბრძოლა, რომელიც ხელყოფს საზოგადოების ღირებულებებსა და დამკვიდრებულ მართლწესრიგს.³⁷

Ultima ratio პრინციპი აღიარებულია, როგორც მატერიალური სისხლის სამართლის მოქმედების ფარგლების დამდგენი სახელმძღვანელო წესი.³⁸ ეს პრინციპი ადგენს, რომ სისხლის სამართალი უნდა მოქმედებდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში, როდესაც სხვა ალტერნატიული სამართლებრივი მექანიზმი, მაგალითად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ან სამოქალაქო-სამართლებრივი დავის გზით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, არ არის საკმარისად ეფექტიანი.³⁹ სისხლის სამართალი უნდა მოქმედებდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც საჯარო სიკეთის დაცვის სხვა მექანიზმები ამოწურულია.⁴⁰ იგი განიხილება, როგორც სისხლის სამართლის მორალური და ეთიკური საფუძველი, რაც მთლიანობაში მის ლეგიტიმურობას განაპირობებს.⁴¹ სისხლის სამართალი ვერ განახორციელებს თავის ფუნქციას, თუ მხარეებს, საზოგადოებას და სასამართლოს არ აქვთ განცდა, რომ დანაშაული დიდი საფრთხის შემცველია და ამგვარ მკაცრ მიდგომას საჭიროებს.⁴²

სისხლის სამართალში მისი მოქმედება დაკავშირებულია ისეთ პრინციპებთან, როგორც არის *in dubio pro libertate*, რაც გულისხმობს, რომ ეჭვი, საჭიროა თუ არა ამა თუ იმ ქმედების კრიმინალიზება, უნდა გადაწყდეს თავისუფლების, ე.ი. ქმედების კრიმინალიზებაზე უარის

³⁷ მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი: ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, მერიდიანი, თბილისი, 2013, გვ. 17.

³⁸ Rudolf Wendt, The Principle of ‘Ultima Ratio’and/or the Principle of Proportionality, Onati Socio-Legal Series, vol. 3(1), 2013, გვ. 85.

³⁹ Andrew Ashworth and Jeremy Horder, Principles of Criminal Law, Oxford 2013, გვ. 63.

⁴⁰ Rudolf Wendt, The Principle of Ultima Ratio’and/or the Principle of Proportionality, Onati Socio-Legal Series, vol. 3(1), 2013, გვ. 85.

⁴¹ James Chalmers, Fiona Leverick, Quantifying Criminalization, Criminalization: The Political Morality of the Criminal Law, R A Duff (ed.), გვ. 75.

⁴² Matthew Dyson, Benjamin Vogel, The Limits of Criminal Law, Anglo-German Concepts and Principles, Antwerp and Chicago, 2018, გვ. 227.

თქმის სასარგებლოდ.⁴³ თავისუფლება უნდა იყოს ნორმა, ხოლო შეზღუდვა ყოველთვის უნდა საჭიროებდეს განსაკუთრებულ გამართლებას.⁴⁴

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არის პირების ქცევის რეგულირებისთვის სახელმწიფოს ინსტიტუციური ინსტრუმენტებიდან ყველაზე მკაცრი. შესაბამისად, ის უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც უმართლობის დამადასტურებელი მკაფიო და დამაჯერებელი დასაბუთებები არსებობს.⁴⁵ შესაბამისად, მოცემული საქმე აჩენს კითხვას, თუ რამდენად არის დაკმაყოფილებული *ultima ratio* პრინციპის მოთხოვნა, კერძოდ, რამდენად არის ბრალდებულის მიერ „ჩადენილი ქმედება ისეთი საზოგადოებრივი საფრთხის შემცველი, რომ მისგან მომდინარე რისკების დასაბალანსებლად სხვა მექანიზმების გამოყენება არასაკმარისი იქნებოდა“⁴⁶.

ფიზიკური ტკივილის არარსებობის გამო სამართალდამცავისთვის ქურთუკის მოქაჩვა და სილის გაწნა ვერ აღწევს ქმედების საშიშროების იმ ხარისხს, რომელსაც სისხლისსამართლებრივი რეპრესიული მექანიზმის ამოქმედებისთვის სისხლის სამართალში *ultima ratio* პრინციპი მოითხოვს. ირაკლი დგებუაძის განმარტებებიც კი, რომელიც ამ საქმეზე თავად მისცა გამოძიებას, არ ადასტურებს სსკ-ის 353¹ მუხლის კვალიფიკაციას. როგორც ის აღწერს, მზია ამალლობელის მიერ დარტყმის შედეგად მარჯვენა ლოყაზე და მარჯვენა ყურზე აღენიშნებოდა სიწითლე და დარტყმის დროს განიცადა ტკივილი. მხოლოდ აღქმებით დადასტურებული ფიზიკური ტკივილი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, არა თუ თავდასხმის დეფინიციაში, არამედ სსკ-ის 126-ე მუხლის დისპოზიციაშიც კი არ ჯდება, რადგან მზია ამალლობელის ქმედებას, არ შეეძლო ფიზიკური ტკივილის გამოწვევა, რაც გამორიცხავს ამ უფრო მსუბუქი მუხლით ბრალდებასაც. ამდენად, მზია ამალლობელის სისხლისსამართლებრივი ბრალდება აჩენს ეჭვებს, რომ ის ატარებს დაშინების და პოლიტიკური დევნის სახეს.

V. ქმედების მცირე მნიშვნელობა

Ultima ratio პრინციპით შეზღუდულია კანონმდებელი სამართალშემოქმედების პროცესში, თუმცა მას ასევე მნიშვნელობა აქვს მოსამართლის მიერ ქმედებათა განმარტების მიზნებისათვის. ქმედების ამკრძალავი ნორმის არსებობის მიუხედავად, შესაძლებელია პირის სისხლისსამართლებრივ დასჯას აკლდეს კონკრეტული ელემენტი, რომლის საფუძველზეც

⁴³ E. Thomas Sullivan, Richard S. Frase, Proportionality principles in American law: controlling excessive government actions, Oxford and New York 2009, გვ. 234; საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიძევილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 40.

⁴⁴ Joel, Feinberg, The Moral Limits of the Criminal Law: Volume 1: Harm to Others, New York 1987, გვ. 9.

⁴⁵ Simester, A.P., and Andreas von Hirsch. Crimes, Harms, and Wrongs: On the Principles of Criminalisation. London: Hart Publishing, 2011, გვ. 19.

⁴⁶ ავტორთა კოლექტივი: საბა ბრაჭველი და სხვ., სისხლის სამართლის მოქმედების ფარგლები, თბილისი, საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი, 2021, გვ. 156.

მოსამართლე სახელმწიფოს საშუალებას არ მისცემს პირის დასჯის მონოპოლიური უფლება გამოიყენოს.

პირს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა რომ დაეკისროს, განხორციელებული ქმედება არა მხოლოდ სსკ-ით უნდა იყოს გათვალისწინებული, არამედ უნდა იწვევდეს ისეთ ზიანს ან ქმნიდეს ისეთ საფრთხეს, რომ აუცილებელი გახდეს მოქმედი პირის სისხლისამართლებრივი დასჯა. ე.ი. პირის დასჯის აუცილებლობა საჯარო ინტერესით განპირობებული კანონიერი მიზნის გამოძახილი უნდა იყოს. ეს დათქმა, როგორც პროპორციულობის პრინციპის გამოვლინება, ნორმის შემფარდებელს გარკვეულ ფარგლებში აქცევს და სთხოვს, რომ ფორმალურის გარდა, მატერიალური კრიტერიუმებითაც იხელმძღვანელოს და ისე დაადგინოს, არის თუ არა სახეზე სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. ცხადია, კანონმდებელი ქმედების დანაშაულად აღიარებისას ითვალისწინებს საშიშროებას, რაც მოითხოვს მასთან ბრძოლას სისხლისამართლებრივი სანქციების მეშვეობით. თუმცა, შესაძლებელია ქმედების საშიშროების ხარისხი ზოგ შემთხვევაში არ აღწევდეს იმ მინიმუმს, რაც აუცილებელია მისი ჩამდენის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. ქმედების საშიშროების დადგენისათვის კი მხედველობაშია მისაღები ხელყოფის ობიექტის ღირებულება, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, დანაშაულის სუბიექტური ელემენტები: მოტივი და მიზანი, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი, ბრალდებულის წარსული ცხოვრება და სხვა.

ამ მსჯელობის განვითარებისათვის საფუძველს თავად სისხლის სამართლის კოდექსი იძლევა, რომლის მე-7 მუხლის თანახმად, დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც, თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე. მცირე მნიშვნელობის განსაზღვრისას უნდა შეფასდეს, შეიცავს თუ არა კონკრეტული ქმედება საზოგადოებისთვის ისეთ საფრთხეს, რომ ის მიჩნეული იყოს სოციალურად საშიშ მოვლენად – დანაშაულად.

იმისათვის, რომ მოსამართლემ ქმედება დანაშაულად დააკვალიფიციროს, უნდა დაადგინოს დანაშაულის სამივე ნიშანი - ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალი. სისხლის სამართლის დოგმატიკაში არსებობს ქმედების მცირე მნიშვნელობის ინსტიტუტის გამოყენების რამდენიმე გაგება:

1) იგი წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველ გარემოებას;

2) თუ ქმედება მცირე მნიშვნელობისაა, მიუხედავად ქმედების შემადგენლობის ფორმალურად განხორციელებისა, იგი არის მართლწინააღმდეგობის (მატერიალური გაგებით) გამომრიცხველი გარემოება;⁴⁷

3) მიუხედავად დანაშაულის ჩადენისა, ქმედების მცირე მნიშვნელობა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ მატერიალურ-სამართლებრივ გარემოებას;

4) ქმედების მცირე მნიშვნელობა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის დამაბრკოლებელ პროცესუალურ-სამართლებრივ გარემოებას.

თუმცა, მოქმედი სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის ნორმის შინაარსიდან კარგად ჩანს, რომ ქმედების მცირე მნიშვნელობა ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველია. თუმცა, იგი არ წარმოადგენს განსაკუთრებულ ნიშანს, რომლის არსებობის შემთხვევაში ქმედების შემადგენლობა არ არის სახეზე, არამედ ინტერპრეტაციის პრინციპს, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მცირე მნიშვნელობის ქმედებები შეფასდეს, როგორც ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველი გარემოებები.⁴⁸ როგორც აღინიშნა, ინტერპრეტაციისას გასათვალისწინებელია ქმედებით გამოწვეული ზიანი და შექმნილი საფრთხე. თუ ქმედება რომელიმე დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს ფორმალურად შეიცავს, მაგრამ არ იწვევს ისეთ ზიანს ან საფრთხეს, რომელიც აუცილებელს ხდის ქმედების ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, დანაშაული გამოირიცხება.

ქმედების სოციალური საშიშროების შეფასებისას, ქმედებით გამოწვეული რეალური ზიანის ან შექმნილი საფრთხის გარდა, მხედველობაში მიიღება მოქმედი პირის განზრახვაც. შეიძლება რეალურად გამოწვეული ზიანი მცირე იყოს, მაგრამ მოქმედი პირის განზრახვის გათვალისწინებით ქმედება სოციალურად საზიანოდ, მატერიალურად მართლსაწინააღმდეგოდ შეფასდეს. მცირე მნიშვნელობის გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ხდება მაშინ, როცა ქმედება ობიექტურადაა მცირე მნიშვნელობის და მოქმედ პირსაც აქვს ეს გაცნობიერებული ქმედების განხორციელების მომენტში.⁴⁹ ზიანის და ქმედების სოციალური საშიშროების შეფასება არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებისა და ჩარევის გამართლების განუყოფელი ნაწილი.⁵⁰ ზიანის და ქმედების სოციალური საშიშროების შეფასებისას, ქმედების მცირე მნიშვნელობის განსაზღვრა, მართალია, ყველაზე ხშირად საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ და ეკონომიკურ

⁴⁷ თემურ ცქიტიშვილი, რეცენზია წიგნზე - “ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011”, შედარებითი სამართლის ჟურნალი, 2019, გვ. 74.

⁴⁸ მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, მერიდიანი, თბილისი, 2013, 70-71.

⁴⁹ თემურ ცქიტიშვილი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი (სსკ-ის მე-7 მუხლის განმარტებისათვის), შედარებითი სამართლის ჟურნალი 7/2023, გვ. 112 – 113.

⁵⁰ Simester, A.P., and Andreas von Hirsch. Crimes, Harms, and Wrongs: On the Principles of Criminalisation. London: Hart Publishing, 2011, გვ. 35.

დანაშაულებზე იძენს აქტუალობას,⁵¹ თუმცა მცირე მნიშვნელოვნად შეიძლება შეფასდეს ასევე სხვისი სხვა სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფისკენ მიმართული ქმედებებიც.

ზიანი არის პირის, საზოგადოების თუ სახელმწიფოს ინტერესებისთვის უარყოფითი შედეგის მიყენება. ამრიგად, ზიანის პრინციპის დაკმაყოფილება მოითხოვს უარყოფით გავლენას რაიმე არსებითზე. მაგალითად, მოტეხილი კიდურები ზიანს აყენებს მსხვერპლს, მისივე საჭიროებების დაკმაყოფილების უნარის დაკარგვის გამო; ვანდალიზმი ანალოგიურად საზიანოა, რადგან ის ამცირებს მსხვერპლის შესაძლებლობებს. შესაძლებლობები/რესურსები არის ის აქტივები, რაც ადამიანს აქვს ცხოვრებაში, ის, რაც შეიძლება დაეყრდნოს კეთილდღეობის შესანარჩუნებლად. რესურსი შეიძლება იყოს მატერიალური ან არამატერიალური (მაგ. ინტელექტუალური საკუთრება). ნებისმიერ შემთხვევაში, ეს შესაძლებლობები/რესურსები იზიარებენ მინიმუმ სამ მახასიათებელს. პირველ რიგში, ისინი გრძელვადიან პერსპექტივაში იარსებებს. ინდივიდის პირადი ნივთები, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ან მისი კარგი რეპუტაცია არის რესურსი. მომენტალური გაღიზიანების ან შეურაცხყოფის თავიდან აცილება არ არის. მეორეც, ისინი, როგორც წესი, გავლენას ახდენენ ან შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ადამიანის ცხოვრების ხარისხზე. მესამე, მათ აქვთ ობიექტური განზომილება.⁵²

სისხლის სამართლის კანონის ნებისმიერი დისპოზიცია მოსამართლისგან მოითხოვს განვსაზღვროს თითოეული დანაშაულის მიერ მიყენებული ზიანი და სოციალური საშიშროება და აჩვენოს, რომ ზიანი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ის გადაწონის *ultima ratio* პრინციპს, კერძოდ კი იმ კონკურენტულ საპირწონე სიკეთეებს, მათ შორის ინდივიდუალურ თავისუფლებას, რასაც ზიანი მიადგება სისხლის სამართლის ამოქმედებით.

უფრო მეტიც, როგორც ვიქტიმოლოგების მიერაა ხაზგასმული, დანაშაულის მავნებლობა დამოკიდებულია მსხვერპლის კონკრეტულ სიტუაციაზე და ერთი მსხვერპლის მდგომარეობა შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს მეორის მდგომარეობისგან. ადამიანს, რომელიც ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად ან სოციალურად დაუცველია, შეიძლება უფრო მეტი ზიანი მიაყენოს - ან უფრო ხანგრძლივი ზიანი მიაყენოს იმავე ქმედებამ, ვიდრე მას, ვინც არ არის რაიმე ნიშნით მოწყვლადი.⁵³

კეთილსინდისიერი განმარტების პირობებში, ქალის მიერ ერთი სილის გაწნის შედეგად ახალგაზრდა პოლიციელი მამაკაცის მიმართ ისეთ ქმედებად ვერ ჩაითვლება, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულის უკან მოიაზრება, მითუმეტეს მაშინ როდესაც ინციდენტი

⁵¹ თემურ ცქიტიშვილი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი (სსკ-ის მე-7 მუხლის განმარტებისათვის), შედარებითი სამართლის ჟურნალი 7/2023, გვ. 112 – 113.

⁵² Simester, A.P., and Andreas von Hirsch. Crimes, Harms, and Wrongs: On the Principles of Criminalisation. London: Hart Publishing, 2011, გვ. 37.

⁵³ Letizia Paoli and Victoria A. Greenfield, Harm: a Neglected Concept in Criminology, a Necessary Benchmark for Crime Control Policy, European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice 21, 2013, გვ. 371.

ხდება პოლიციასთან ახლოს, პოლიციელთა თავყრილობის შუაგულში და შედეგად არ დამდგარა პოლიციელების სამიანობის შეფერხება.

VI. საქმეში არსებული მტკიცებულებები და პროცედურული დარღვევები

4 მარტს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში მზია ამალღობელის წინასასამართლო სხდომა გაიმართა. მოსამართლემ სრულად დააკმაყოფილა ბრალდების მხარის ყველა შუამდგომლობა და დაცვის მხარის მოწმედ დასაკითხ პირთა ნუსხიდან ამოიღო ათზე მეტი პირი, ვიდეომტკიცებულებები, დათვალიერების ოქმები და სხვა წერილობითი მტკიცებულებები.⁵⁴ ეს გადაწყვეტილება ფაქტობრივად დაცვის უფლების განხორციელების გარეშე ტოვებს ბრალდებულს და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის ნიშნებს შეიცავს.

მზია ამალღობელის საქმეში გამოძიების დაწყებიდან ერთი თვის თავზე საქმეში ბრალდების მხარის მიერ დაცვის მხარისთვის წარდგენილია მხოლოდ შემდეგი მტკიცებულებები:

ა) დაზარალებულად ცნობილი ირაკლი დგებუაძის გამოკითხვის ოქმი, სადაც ის ამბობს, რომ სილა გააწნეს და ტკივილი იგრძნო;

ბ) სხვა პოლიციელების ჩვენება, რომლებიც გამოძიებას უდასტურებენ, რომ უფროსს ლოყაზე სიწითლე შენიშნეს;⁵⁵

გ) სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც მითითებულია, რომ ირაკლი დგებუაძეს გარეგნული დაზიანებები არ აღენიშნება;

დ) მასობრივი საშუალებებით გავრცელებული ვიდეოკადრების დათვალიერების ოქმი - მოვლენების ამსახველი მცირე მონაკვეთი, რომელზეც ჩანს მხოლოდ სილის გაწნის ეპიზოდი.

საქმეში არის ინტერესთა კონფლიქტის პრობლემაც. როგორც აღინიშნა, დაზარალებული არის ბათუმის პოლიციის სამმართველოს უფროსი, ხოლო საქმეს საწყის ეტაპზე იძიებდა აჭარის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო დანაყოფი. მთავარი მოწმე ამ საგამოძიებო დანაყოფის უფროსი და მზიას დამკავებელია, ყველა სხვა მოწმე კი აჭარის პოლიციის დეპარტამენტის პოლიციელია. დაზარალებული ამავე დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირია, ხოლო ყველა საგამოძიებო სამსახური აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის გრიგოლ ბესელიას დაქვემდებარებაშია, რომელიც ასევე ამ საქმის ფიგურანტი. ამასთან, დაცვის მხარე მოითხოვს მის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას მზია ამალღობელის უკანონო დაკავების გამო. გენერალურმა პროკურატურამ დაცვის მხარის მოთხოვნა საქმე თავადვე დაექვემდებარებინა საგამოძიებოდ

⁵⁴ რადიო თავისუფლება, სასამართლოს გადაწყვეტილება უპრეცედენტო ქართულ მართლმსაჯულებაში – ამალღობელის ადვოკატები, მარტი 05, 2025, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33337245.html>.

⁵⁵ ნეტგაზეთი, რას ჰყვება ირაკლი დგებუაძე მზია ამალღობელის მიერ სილის გაწვნაზე – გამოკითხვის ოქმი, 17 თებერვალი, 2025, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/763994/>.

არ დააკმაყოფილა და საქმე გადასცა გურიის პოლიციის დეპარტამენტს, რაც არ აღმოფხვრის ინტერესთა კონფლიქტს. გურიის პოლიციის დეპარტამენტზე საპროკურორო ზედამხედველობას კვლავ აჭარის პროკურატურა ახორციელებს, რომელიც ზედამხედველობდა მზია ამალღობელის საქმეს გამოძიების პირველი დღიდან. აჭარის პროკურატურას აქვს ყოველდღიური სამსახურებრივი და ოპერატიული კავშირი როგორც აჭარის პოლიციის დეპარტამენტის, ისე ბათუმის პოლიციის უფროსთან და ყველა მის დანაყოფთან, შესაბამისად კითხვები მიუკერძოებლობის შესახებ ისევე აქტუალური რჩება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) მზია ამალღობელისთვის დაზარალებულის სტატუსის მისანიჭებლად თბილისის საქალაქო სასამართლოს 24 თებერვლას საჩივრით მიმართა. მართალია, გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მიმდინარეობს, თუმცა დაცვის მხარის არაერთი მიმართვის მიუხედავად, კანონმდებლობით დადგენილი ვადების გასვლის მიუხედავად, ამ დრომდე არ მიუღია. საია-ს შეფასებით, „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებლისა და დირექტორის დაკავების პროცესი ძალადობრივი და უკანონო იყო, რადგან მას თან ახლდა ფიზიკური ძალადობა, რის შედეგადაც მიღებული დაზიანებები სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნითაც დასტურდება.⁵⁶ ამ ვითარებაში, სრულიად გაუგებარია რა მიზეზით არ ანიჭებს პროკურატურა მზია ამალღობელს დაზარალებულის სტატუსს, რაც კიდევ ერთხელ ამყარებს ექვებს პოლიტიკურ ანგარიშსწორებასა და დევნაზე.

ზემოთხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, საქმის განხილვაში ჩარულ მონაწილე პირთა მიუკერძოებლობა ეჭვს ქვეშ დგება.

VII. მედია საქმიანობაზე გავლენა - მსუსხავი ეფექტი

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებულია ყოველი ადამიანის უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. აღნიშნული უფლება დემოკრატიული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს, რის მეშვეობითაც საზოგადოებას შესაძლებლობა აქვს იყოს ინფორმირებული სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის შესახებ. მედია, როგორც ინფორმაციის მასობრივი გავრცელების საშუალება, მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად. ამდენად, დემოკრატიული საზოგადოებისთვის მიუღებელია ისეთი წესების არსებობა, რომელიც მედიას ხელს უშლის განახორციელოს მისი ძირითადი ფუნქცია - უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება.

⁵⁶ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საია საჩივრით მიმართავს სასამართლოს მზია ამალღობელის დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით, 25 თებერვალი, 2025, ხელმისაწვდომია: https://gylla.ge/post/saia-sachivari-mziaamaglobeli?fbclid=IwY2xjawIqXcJleHRuA2FlbQIxmAAABHYJ8K1LDNVteydrh5WOFGDmUGTz4mtoueVG67KfzIC27YVkgOO3Tro1yCQ_aem_pOvey7r3QZvvdF3rLfbkqQ.

თავისუფალი მედიის უნარი, მმართველი ხელისუფლება ანგარიშვალდებულებას დაუქვემდებაროს „[...] ისეთივე მნიშვნელოვანია მდგრადი დემოკრატიისთვის, როგორც თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები“,⁵⁷ რადგან წარმომადგენლობითი დემოკრატიის გამართული ფუნქციონირება არსებითადაა დამოკიდებული ინფორმირებულ მოქალაქეზე. ინფორმირებული მოქალაქე აკვირდება რა ხელისუფლებას, შეისწავლის მის ნაბიჯებს, სვამს კითხვებს მისი ქმედების თუ უმოქმედობის მიზანშეწონილობის შესახებ. ინფორმირებულობის წინაპირობა, ცხადია, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობაა. ინფორმაციას გადამუშავებული სახით კი უმთავრესად მედიიდან ვიღებთ. მედია ხელისუფლებას და პოლიტიკურ აქტორებს არამხოლოდ მუდმივად აკონტროლებს, არამედ ასტიმულირებს, მოიქცეს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისად. სწორედ მედია ხდება ხშირად პოლიტიკური დებატების ინიციატორი. ამიტომ, ის ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მოქმედებისთვის მნიშვნელოვანი ფასილიტატორია.⁵⁸

მედიას, როგორც საზოგადოებრივ დამკვირვებელს [watchdog], დემოკრატიულ საზოგადოებაში სასიცოცხლო ფუნქცია აკისრია, მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური ლანდშაფტის აღქმის უნარის გაძლიერებითა და დემოკრატიულ ცხოვრებაში ცნობიერი მონაწილეობის ხელშეწყობით, ის აძლიერებს და ეხმარება მოქალაქეებს, იყვნენ ინფორმირებულნი.⁵⁹ ინფორმირებული საზოგადოება მეტად კრიტიკული და ძლიერი ამომრჩეველია. შესაბამისად, არალიბერალური რეჟიმებისთვის მედია ყოველთვის წარმოადგენდა საშიხს.⁶⁰ „მტკივნეულად ცხადი გახდა, რომ მედიის თავისუფლება ვერასოდეს ჩაითვლება გარანტირებულ სიკეთედ, იქაც კი, სადაც დემოკრატიული მმართველობა ათწლეულების განმავლობაში ფუნქციონირებს“.⁶¹ მედიაა ის შუამავალი ხალხსა და მმართველ პოლიტიკურ ძალას შორის, რომელიც რიგით ადამიანებს უთმობს პლატფორმას და ხალხს აძლევს ხმას, გვაცნობს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, გამოავლენს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტებს, გვიყვება ხელისუფლების იმ ნაბიჯებისა და ქმედებების შესახებ, რაც მმართველ ძალას აწყობს მიჩქმალულად დარჩეს.⁶²

⁵⁷ Freedom and the Media 2019: A Downward Spiral, Freedom House, 2019, supra 2, 3, 5, ხელმისაწვდომია: https://freedomhouse.org/sites/default/files/2020-02/FINAL07162019_Freedom_And_The_Media_2019_Report.pdf.

⁵⁸ ანა ჭიბრიშვილი, მედია საფრთხის წინაშე: ანტიმედია პოპულიზმი, 01 დეკემბერი 2022, ხელმისაწვდომია: <https://socialjustice.org.ge/ka/products/media-saftrkhis-tsinashe-antimedia-populizmi>.

⁵⁹ European Parliament resolution of 25 November 2020 on strengthening media freedom: the protection of journalists in Europe, hate speech, disinformation and the role of platforms; ხელმისაწვდომია: https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-9-2020-0320_EN.html.

⁶⁰ A Mission to Inform: Journalists at risk speak out, Council of Europe, September 2020, 17; ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/prems-021220-gbr-2018-a-mission-to-inform-journalists-at-risk-speak-ou/16809ff1e2>

⁶¹ Freedom and the Media 2019: A Downward Spiral, Freedom House, 2019, 2 ხელმისაწვდომია: https://freedomhouse.org/sites/default/files/2020-02/FINAL07162019_Freedom_And_The_Media_2019_Report.pdf

⁶² ანა ჭიბრიშვილი, მედია საფრთხის წინაშე: ანტიმედია პოპულიზმი, 01 დეკემბერი 2022, ხელმისაწვდომია: <https://socialjustice.org.ge/ka/products/media-saftrkhis-tsinashe-antimedia-populizmi>.

საქართველოში ბოლო წლების მანძილზე მედიაგარემო სისტემურად გაუარესდა, რასაც საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციების შეფასებებიც ადასტურებს.⁶³ ევროპარლამენტმა საქართველოში მედიის თავისუფლების დარღვევისა და ჟურნალისტების უსაფრთხოების შესახებ სპეციალური რეზოლუციაც მიიღო, სადაც ხაზგასმულია, რომ კონსოლიდირებული დემოკრატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი არის გამონახტვის თავისუფლება და ის, თუ რამდენად დაცულად გრძნობენ თავს ჟურნალისტები.⁶⁴ „ქართული ოცნების“ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება კრიტიკული მედიების მიმართ და მათი დისკრედიტაციის ორგანიზებული მცდელობები ჟურნალისტების მასობრივ დევნასა და მათზე ფიზიკურ თავდასხმებში გამოიხატა. 2024 წელს, მედიის წარმომადგენლების მიმართ სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობის, ასევე მათი სხვადასხვა ფორმით დაშინებისა და გაჩუმების მცდელობების 200-მდე შემთხვევა აღირიცხა, რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე თითქმის 5-ჯერ მეტია.⁶⁵ „ქართული ოცნება“ 2023 წლიდან ცდილობს დამოუკიდებელი მედიისთვის დასავლური ფონდების მხარდაჭერით სარგებლობის შეზრუდვით ფინანსური საფუძვლის გამოცლას და განვითარების შესაძლებლობების შეზღუდვას, რაც ხარისხიანი მედიაპროდუქტის შესაქმნელადაა აუცილებელი.⁶⁶

ზოგადად, ჩადენილი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის გონივრულობაზე მსჯელობის ვალდებულება მოსამართლეს ევროპული კონვენციის მე-5 მუხლითაც ეკისრება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განსაკუთრებული ხაზგასმით ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე აკონკრეტებს, რომ უნდა დადგინდეს, რამდენად არსებობს გონივრული საფუძველი ჩადენილი ქმედების ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ სისხლის სამართლის დანაშაულად კვალიფიკაციისთვის. ამასთან, როგორც ევროპული სასამართლო უთითებს, დანაშაულის ჩადენის შესახებ გონივრული ეჭვის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს, მათ შორის, ხელისუფლების კრიტიკით ცნობილი პირის საქმიანობისთვის დაკავებით გამოწვეული მსუსხავი ეფექტი, რაც გონივრული ეჭვის ჩვეულებრივზე მაღალი სტანდარტით შეფასებას საჭიროებს. ჟურნალისტების დაკავების განხილვისას, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს

⁶³ რეპორტიორები საზღვრებს გარეშე, საქართველოს მედიაგარემოს შეფასება, ხელმისაწვდომია: <https://rsf.org/en/country/georgia>; „ჰუმან რაიტს ვოჭი“, 2024 წლის ანგარიში საქართველოს შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://www.hrw.org/world-report/2024/country-chapters/georgia>.

⁶⁴ ევროპარლამენტის 2022 წლის 9 ივნისის სპეციალური რეზოლუცია 2022/2702(RSP) საქართველოში მედიის თავისუფლების დარღვევისა და ჟურნალისტების უსაფრთხოების შესახებ, ხელმისაწვდომია: https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-9-2022-0239_EN.html.

⁶⁵ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, მედიის მიმართ ძალადობის შემთხვევები და მათზე სახელმწიფოს რეაგირება, 20 დეკემბერი, 2024, ხელმისაწვდომია: <https://transparency.ge/ge/post/mediis-mimart-zaladobis-shemtxvevebi-da-matze-saxelmcipos-reagireba>

⁶⁶ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია მედიის პროფესიულ სტანდარტებზე საკანონმდებლო ზედამხედველობის დაწესებას არ ეთანხმება, 28 თებერვალი, 2025, ხელმისაწვდომია: <https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/100018-saqarthvelos-zhurnalisturi-ethikis-qartia-mediis-profesiul-standartebze-sakanonmdeblo-zedamkhedvelobis-datsesebas-ar-ethankhmeba>.

სწორედ მსუსხავ ეფექტზე, რომელიც შესაძლოა მომჩივნისთვის და ზოგადად მედიაგარემოსთვის შეიქმნას.⁶⁷

ტერმინი „მსუსხავი ეფექტი“ გამოიყენება ისეთი შეზღუდვების ან სანქციების დახასიათებისას, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს პრესის თავისუფლების მიზნებსა და ამოცანებზე. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ მსუსხავი ეფექტის ინდივიდუალური ზემოქმედების გარდა, პრესის შემთხვევაში მის უარყოფით შედეგებს აქვს პოტენციური ისეთ საკითხებზე იქონიოს გავლენა, როგორცაა ღია და შეუფერხებელი საჯარო დებატები. თუ ჟურნალისტურ საქმიანობას ხელი ეშლება, საზოგადოების უფლება, მიიღოს მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ვერ რეალიზდება. შესაბამისად, მსუსხავი ეფექტით დამდგარი უარყოფითი შედეგი ვრცელდება არა კონკრეტულ ჟურნალისტსა თუ მედიაზე, არამედ მთლიანად საზოგადოებაზე. სწორედ ამიტომ, წარმოადგენს ასეთი ზომები უდიდეს რისკს დემოკრატიისთვის.⁶⁸

მზია ამაღლობელმა 2001 წელს ეთერ თურამესთან ერთად დამოუკიდებელი მედიაორგანიზაცია „ბათუმელები“, ხოლო მოგვიანებით 2010 წელს ონლაინ გამოცემა ნეტგაზეთი დააარსა. კომპანიების დაარსებიდან დღემდე, ამაღლობელი მათი გენერალური დირექტორია და ხელმძღვანელობს ორგანიზაციის კომერციულ და მედიაპროექტებს. „ბათუმელების“ დაარსება იყო პირდაპირი პასუხი კანონის უზენაესობის მასშტაბურ დარღვევებზე, ადამიანის უფლებების შელახვასა და გავრცელებულ კორუფციაზე აჭარის ავტოკრატი ლიდერის, ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდში. მზია ამაღლობელის ხელმძღვანელობით, მედიაორგანიზაციას მოპოვებული აქვს მრავალი ჯილდო გამხდარი ჟურნალისტიკისა და ეთიკური რეპორტაჟებისთვის.

დევნის სავარაუდო მოტივს ამყარებს, ის ფაქტი, რომ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციით, ჯერ კიდევ 2024 წლის 16 დეკემბერს, ერთ-ერთი საპროტესტო შეკრების დროს, აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი, გრიგოლ ბესელია, და ბათუმის პოლიციის უფროსი, ირაკლი დგებუაძე, დაკავებით დაემუქრნენ „ბათუმელების“ რედაქტორს, ეთერ თურამეს. ამ ფაქტზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „ბათუმელების“ მუშაობა, რომელიც სისტემატურად ააშკარავებს ხელისუფლების, მათ შორის, პოლიციის საქმიანობაში კანონსაწინააღმდეგო პრაქტიკებს და უფლებების დარღვევებს, გამაღიზიანებელია მმართველი პოლიტიკური ძალისა და ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელობისათვის, რის გამოც ამ უკანასკნელთა განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა ბათუმელების დამფუძნებლის - მზია ამაღლობელის დაკავება.⁶⁹

⁶⁷ იხ. შემდეგი გადაწყვეტილებები: Fox, Campbell and Hartley V. The United Kingdom, no. 12244/86 and 2 others, 30 August 1990, § 32; Ilgar Mammadov v. Azerbaijan, no. 15172/13, 22 May 2014, § 88-89, 93-94 99-100; Şik v. Turkey (No. 2), no. 36493/17, 24 November 2020, §116, 210; Ahmet Hüsrev Altan v. Turkey, no. 13252/17, 13 April 2021, §127.

⁶⁸ Trine Baumbach, Chilling Effect as a European Court of Human Rights' Concept in Media Law Cases, Bergen Journal of Criminal Law and Criminal Justice, Volume 6, Issue 1, 2018, გვ. 92-114.

⁶⁹ ბათუმელები, „დაცული ხარტ ზედმეტად“ - ბათუმის პოლიციის უფროსის, ირაკლი დგებუაძის მიმართვა აქციის მონაწილეს, 16 დეკემბერი, 2024, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/batumelebi/videos/887538936875687>,

დასკვნა

საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციით, სილის გაწნის ეპიზოდს წინ უძღოდა პოლიციელების მხრიდან ადგილზე მყოფი მშვიდობიანი შეკრების მონაწილეების, მათ შორის, მზია ამალაშვილის ახლობლების თვითნებური და აგრესიული დაკავება. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ მზია ამალაშვილის რეაქცია პოლიციელების მხრიდან უკანონო და თვითნებური ქმედებების შედეგად იყო პროვოცირებული.

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, 353¹ მუხლით ქმედებით დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელი ელემენტები მზია ამალაშვილის ქცევაში არ იკვეთება. კერძოდ, სახეზე არ გვაქვს არც ქმედების ობიექტური (თავდასხმა - როგორც განსაკუთრებული ძალადობრივი, აგრესიული აქტი) და არც სუბიექტური (პირდაპირი განზრახვა და მიზანი, რომელიც პოლიციელის სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებას უკავშირდება) შემადგენლობა.

რაც შეეხება, სილის გაწნის სსკ-ის 126-ე მუხლით კვალიფიკაციას, მზია ამალაშვილის საქმეში არ არსებობს ამ დანაშაულის უმთავრესი ელემენტი, დაზარალებულის მხრიდან ძლიერი ფიზიკური ტკივილის აღქმა. მხოლოდ ვიდეო კადრების ყურებაც კი საკმარისია იმის დასადგენად, რომ მზია ამალაშვილის მოქმედებებს არ შეეძლო გამოეწვია ახალგაზრდა, ფიზიკურად მასზე ძლიერი მამაკაცისათვის მსგავსი ტკივილის მიყენება.

შესაბამისად, მზია ამალაშვილის ქმედებას არ მიუღწევია ისეთი ინტენსივობისთვის, რომელიც *ultima ratio* პრინციპის გათვალისწინებით გაამართლებდა მისი ქმედების სისხლისსამართლებრივი წესით დასჯას. ამის საფუძველს იძლევა მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი, რომელიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამორიცხავს მცირე მნიშვნელობის მქონე ქმედებებისთვის.

საქმეში არის პროცედურული პრობლემებიც. წინასასამართლოზე სასამართლომ დაუშვებლად სცნო დაცვის მხარის თითქმის ყველა მტკიცებულება, ხოლო ამის საპირისპიროდ ყველა შუამდგომლობა დაუკმაყოფილა პროკურატურას საქმეზე მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ. ასევე, სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი, თუმცა ამაზე შესაბამისი რეაგირება გენერალურ პროკურატურას არ გაუკეთებია. ეს ხარვეზები უკვე საწყისშივე აქრობს როგორც მთელი ამ პროცესისადმი, ასევე საბოლოო შედეგისადმი საზოგადოებრივი ნდობის ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

მზია ამალაშვილის წარსული საქმიანობა და ასევე, ონლაინ გამოცემა ბათუმელების დამოუკიდებლობის მაღალი სტანდარტი, აჩენს ეჭვებს, რომ სახეზეა პოლიტიკური ნიშნით დევნა და მედია პლურალიზმის გაქრობის მცდელობა.

ასევე იხ. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის განცხადება, 17 დეკემბერი, 2024, ხელმისაწვდომია: <https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/99319>.

დასკვნის სახით, ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ რადგან სსკ-ის 353¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა ცალსახად არ არის ჩამოყალიბებული განჭვრეტადი ფორმით, ეს პრაქტიკაში არაერთგვაროვანი განმარტებებისა და არაკეთილსინდისიერი გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. აქედან გამომდინარე, უმჯობესი იქნება მუხლის ნორმატიული შინაარსის განმარტებისათვის მოსამართლემ წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. ამ უფლებამოსილებას ადგენს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რათა ის ნორმატიული აქტი, რომელიც სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას უნდა გამოიყენოს, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს.

*პატივისცემით,
თამთა მიქელაძე
დირექტორი*